საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 35 დამატების № 7

კვირა, 14 თებერვალი, 1916 წ.

შიო მღვიმელის 30 წლის მოღვაწეობის გამო

ვ. რუხაძე, ჯ. ჯორჯიკია, შიო, ი. მეუნარგია, ეკალაძე, იას. ნიკოლაიშვილი.

შიო მღვიმელი.

შიო მღვიმელი, ია ეკალაძე, დავით კლდიაშვილი.

შიო.

კაფია

(ვუძღვნი შიო მღვიმელს)

მცირე რამ შემონაწირი*)
მიიღე თავის ძმისგანა,—
მეც შენებრ გული მიტირის,
დაჩაგრული ვარ ძმისგანა.

ასწავლე ბავშვებს ბავშურად
ჰანგები გულზე მწდომია,—
ტრფიალი ბუნებისადმი,—
მამა-პაპური ომია.

ბავშვთ გულის მესაიდუმლევ
ჰშრომობ მღვიმეში ჩუმადა;
ბავშვების ჭირი და ლხენა
გულს მიგაჩნია წყლულადა.

მე როდი მომეწონება
სიტყვა ნათქვამი უმადა,
იმიტომ გკოცნი პირშია,
გადმოგეხვევი ძმურადა!

ვაჟა-ფშაველა.

1909 წ.

---

*) თეთრ ტარიანი ძვლის კალამი მომიტანა ჩემს დღეობაში, შიოობას.

შიო მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიო მღვიმელი დ **გიორგი ქუჩიშვილი**

ი. ევდოშვილი, ბაჩანა, თ. რაზიკაშვილი, შიო, ალ. რაზიკაშვილი, ვაჟა-ფშაველა და ვაჟა-ფშაველას შვილი ლევან.

*
* *

შუა ღამეა. მთლად სევდად ვიქეცი,
დაქანცულ თვალებს არ მოსდით ძილი;
რა ჭირი დასძლევს ჩემს სიყარყუმეს,
როცა მკვნესარე წინ მიწევს შვილი!

ცას და ქვეყანას ვანგრევ ყვედრებით:
ნეტავ რად? რისთვის დამიმახინჯეთ?
თუ არა გჯერათ, უღვთო ჯალათნო,
მოდით, ნახევით, მოდით, გასინჯეთ!

აღარც თქვენია და აღარც ჩემი,
არას არგია ქვეყანას დღეს ის...
ვინ უწყის, ღმერთო, ჩემს ბედში მყოფი
რამდენი ჩივის, რამდენი კვნესის!—

შიო მღვიმელი.

ზარათი

შიო მღვიმელს.

გამარჯობა ჩემო შიო,
ჩემო გულის საყვარელო,
ყვავილების იადონო,
სილამაზის მგალობელო!

გავიგე, რომ ქართველობა
თურმე გიხდის დღესასწაულს;—
მადლი ღმერთსა, დღეს თუ მაინც
მიჰხვდნენ თავის დანაშაულს.

ოჰ, რა მინდა, რომ შენს ზეიმს
მეც დავესწრო, სულის სწორო
და შენს სახეს, ნავაგლახევს,
ბავშვურ გრძნობით ვეამბორო.

ია ქართველიშვილი.

პეთილ მეგობარს შიოს

მეგობარო, დღეს მე მინდა ციურ ენით გეკამათო,
დღეს მე მინდა, სიყვარულით გეალერსო და გაგართო,
მსურს ხასხასა ვარსკვლავები გაგიშალო ფიანდაზად,
რომ სხივების ტახტრევანზე იგალობო ტკბილად, ნაზად!
მსურს, ოცნებით ტყის ფერია, ტყის ჯურღმულით დავიბარო,
შენს მსახურად, რომ მარადის შვებით იყო, მეგობარო!
მსურს შორეულ პარნასიდან აპოლონი მოვიყვანო,
რომ შეგამკოს ღირსეულად, ერის გულის სათაყვანო.
იცი, შიო?—შენზე უკეთ ვერვინ მღერის, ვერვინ გალობს,
შენს მღერაში სიყვარული, სიხარული თრთის, ნარნარობს,
მომავალს რომ ლოცვა ესმის, მომავალი რომ ნეტარებს,
—ეს შენა ხარ, შენა რეკავ საიდუმლო აღთქმის ზარებს.
იცი, შიო?—ყვავილები ველზე კრძალვით თავს რომ ჰხრიან,
შენი ჰანგით მოხიბლულნი შენ გამკობენ, შენ გეტრფიან.
ზეციერი მიწიერსა შენზე მიტომ ეცილება,
რომ ყოველსა შენი კილო ვით დედის რძე ეტკბილება.
აჰა, ნახე, დღეს ზეიმი გაუმართავთ ხუჭუჭ ბავშვებს,
დღეს უფალი შენს ბალჩაში ანგელოზებს ათამაშებს,
და უნდათ, რომ ძვირფასს შიოს სიყვარულის მოციქულსა,
ტურფა შუბლი დაუდაფნონ, შეაჯიბრონ გაზაფხულსა.
მაშ დაჰკარი, დაჰკა სიმებს, ნეტარებით დადნეს გული,
რომ მთა და ველს მოეფინოს შენი კილო სიყვარული.
დღეს ლხინია ცის და მიწის, დღეს ოცნება სხივს აკვესებს,—
ოცნებისა სამოთხეში შენ ჰბატონობ დიად ღმერთებს.
ნუ იტირებ, თუ ცხოვრება ნაღველს გასმევს, შხამს გაწვეთებს,
უკვდავების მოციქულსა, უკვდავება შეგიერთებს!..

დარია ახვლედიანისა.

ლეკის ქალი (გუნიბიდან)
ნახატი **ხალილ ბეგ მუსაევისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრუმის ერთერთი ქუჩა.

აზრუმის გმირები.

მწუემსი დედოფალი

ოსმალურიდან გადმოკეთებული ზღაპარი*)

ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ თურფასიც ცხენით მივიდა იმ ორ ქვასთან, ჩამოხტა ცხენიდან და ერთ ქვიდან მეორეზე დაიწყო თავის ხლა იქამდის, ვიდრე მთელ ტანს კარგად დაიჟეჟდა. ბოლოს გონება მიხდილი, საკაცეში დასდეს, და შინ წაიღეს. ბიჭიც სახლამდის გაჰყვა, ნახა, მართლა მკურნალები გარშემოხვევიან და ყველა მათგანი წამალს ამზადებდა, საბრალო თურფასი-კი უგრძნობლად იყო; ბიჭი დაბრუნდა თავისას. ერთი თვის შემდეგ გაიგო, რომ კარგად გამხდარიყო თურფასი, მივიდა, სალამი მისცა, მიულოცა, უამბო იმასთან მისვლის მიზეზი და დაუწყო ვედრება, დაწვრილებით ეამბნა თავგადასავალი და გაენთავისუფლებინა ამდენი ტანჯვებისაგან.

— ეი, შვილო! უთხრა თურფასმა: რახან შენ ამდენი შეწუხება გინახავს მრავალ ქალაქში ყოფილხარ, დიდი ზგა გამოგივლია, შენი შიზნის მისახწევად, შეგიბრალებ და ჩემს მწუხარე ამბავს გიამბობ, რომ იმათაც თავიანთი მწუხარება და ამბავი გიამბონ. (არ დაივიწყოთ, ფარისეველი რომ ამ მოთხრობას ამბობდა, ხელმწიფე, ვეზირი, თექნამი და მწყემსი დედოფალი სმენად იყვნენ გადაქცეულნი).

თურფას ვაჭრის თავგადასავალი.

დამიგდე, შვილო, ყურიო,—უთხრა თურფასმა: ჩემს ახალგაზდობას, ორმოც და ხუთი წლის წინად, კარგი მეომარი ვაჟ-კაცი ვიყავი, ჩვენ მეფეს სხვა მეფესთან ომი მოუხდა, სხვა ჯარისკაცებთან ერთად მეც წაველ საომრად. წასვლის დროს სამი თვის ჯვარდაწერილი ვიყავ; დედ-მამა არა მყოლია და ახალგაზდა პატარძალი დავსტოვე ღვთისა და ნათესავების ანაბარას. ჩვენი მტერი ძლიერი გამოდგა და გვძლია. ზოგი ჩვენგანი დაიხოცა ომში, ზოგიც ტყვედ წაასხეს; ამ უკანასკნელებში მოვყე მეც. ოცი წლის ტყვეობის შემდეგ დავბრუნდი სამშობლოში. შებინდებული იყო. დავინახე ახალგაზდა, ოცის წლის ვაჟ-კაცი, მაღალი და კარგად ჩასხმული ტანისა, სუფთად ტანთსაცმელში გამოწყობილი, ხელში სავსე ბაღდადი ეკავა და ჩემ სახლის კარს აკაკუნებდა. ჩემმა ცოლმა კარი გაუღო და სახლში შეიყვანა. მე ბანიდან ზვერა დავუწყე. ამან ძალიან გამაკვირვა. ვფიქრობდი: ნეტავი ვინ არის ეს კაცი მეთქი? ნუ თუ ჩემს ცოლს სხვა ქმარი შეურთავს? ცოტა ხანს შემდეგ ისინი დასხდნენ, სვეს, სჭამეს, და ორნივ ერთ განიერ ლოგინში ჩაწვნენ.

გუნებაში გარდავწყვიტე ორივე მომეკლა. ასეც მოვიქეცი. შუა ღამისას შევიპარე შინ, ორივე მძინარენი დავხოცე. უცებ მომესმა ჩემი ცოლის ხმა: „ოჰ შე უწყალო! შე უღმერთოვ! რად დაანთხიე ჩვენი უდანაშაულო სისხლი? რა გინდოდა ჩვენგან? რა დაგიშავეთ? ერთი ჩვენგანი დედა იყო, მეორე შვილიო“.

ელდა მეცა და გულწასული ძირს დავვარდი. როცა გონს მოველ, ვთქვი: „ეს რა უბედურება ჩავიდინე მეთქი? დილაზე მეზობლებისაგან გავიგე, რომ ჩემს ცოლს ვაჟი შვილი ჰყოლოდა, გაეზარდა კიდეც და ერთად სიყვარულით სცხოვრობდნენ თურმე.

ბევრი ტირილისა და გლოვის შემდეგ იმათი გვამები იმ ორ წოწოლა ქვებს ქვეშ დავმარხე, ის ქვებიც ნიშნად მაქვს იქ აყუდებული. როცა ვაჭრობიდან დავბრუნდები და მივალ იმათ საფლავთან, თვალწინ წარმომიდგება ხოლმე ის საშინელი სურათი, რის შემქნელი და მოწამე ვარ! რახან ეს საზიზღარი საქმე ჩავიდინე, ამიტომ კანონად დავიდე, ქვას ვახალო ხოლმე თავი, რომ ამით მოვინანიო ჩემი ის საშინელი და უმაგალითო ცოდვაო,—სთქვა ვაჭარმა და დაათავა თავის თავგადასავალი.

ბიჭმა დიდი მადლობა გადაუხადა, ბოლოს გამოემშვიდობა და დაბრუნდა კაზლაკ ქალაქში. მოსარეცხესთან მივიდა, და ნახა, რომ ის კიდევ წინანდელივით: „აგერ მოვიდა, აგერ მოვიდაო“ გაიძახოდა, კოშკზე ადიოდ-ჩამოდიოდა. საღამოზე როცა მესარეცხე დუქნის დაკეტვას შეუდგა, ბიჭი მივიდა და სალამი მისცა; იმანაც მოულოცა მშვიდობით დაბრუნება, ბოლოს ბიჭმა დაწვრილებით უამბო მოსარეცხეს თურფას ვაჭრის თავგადასავალი. როცა შარმერმა მოისმინა უთხრა ბიჭსა.

— ეი, შვილო! რახან თურფას ვაჭარს თავის მწუხარება და თავგადასავალი დაწვრილებით უთქვამს, მეც დაწვრილებით გიამბობ ჩემ თავ-გარდასავალსაო.

ერთ ღამეს, ამ ოთახში რომ მეძინა, უცებ ვიღაცამ ხელი წამკრა და გამომაღვიძა, თვალები გავახილე და ვნახე, ერთი ანგელოზის მსგავსი ქალი იდგა ჩემ წინ და მითხრა:

— ადექ, უკან მიიხედეო.

წამოვდექ და მივიხედე იქით, საითაც მიჩვენა ანგელოსმა, ვნახე კედელი აღარ ჩანდა, მის ნაცვლად ერთი მშვენიერი ბაღი იყო ფერად-ფერად ტურფა ყვავილებით და საუცხოვო ნაყოფებით. ბაღს აშუქებდა საკვირველი და რაღაც გასაოცარი სინათლე. ქალმა ხელი მომკიდა, შემიყვანა ამ სუნნელოვან ბაღში და მითხრა:

— აქ, ჩვენ ორმოცი დანი ვართ, ორმოცნივე ქალწულნი. ამ ბაღში საუცხოვო სრები და საუცხოვო შენობები დგას, შიგ ოთახებიც მშვენიერადაა მორთული, ეს ყოველივე და თვით ჩვენც ამას იქით შენ გეკუთვნით; აქ ვერც ღამეს ნახავ, ვერც მწუხარებას, ვერც მოწყენას, ვერც სიკვდილს იხილავ და უკუნითი უკუნისამდე იქნები ახალგაზდად. მხოლოდ სამ მცნებას დაგიდებთ, თუ დაიხსომებ და აასრულებ ამ მცნებებს, სამუდამოდ დარჩები ჩვენთან; აი მცნებებიც შემდეგია:

1) ღვთის საქმეში ნუ გაერევი.

2) ნურც ჩვენს საქმეში გაერევი.

3) სუფრაზე მოტანილ პურს და საჭმელს წუნს ნუ დასდებო.

თუ ეს სამი მცნება არ დაგიხსომებია და არ აგისრულებია, იცოდე, საიდანაც მოგიყვანე, იქვე წახვალო. როცა იმის სიტყვებს თანხმობა გამოვუცხადე, მაშინ ყველანი მომეგებნენ

*) იხ. სურათ. დამატება. № 6.

ტყვე ოსმალები.

ჰასანკალე. გუბერნატორის დანგრეულ ბინის წინ.

ერთგულობა და სიყვარული გამომიცხადეს. ვცხოვრობდით ტკბილად და უზრუნველყოფილნი ვიყავით; ვატარებდით დროს ლხინში. ერთი იმათგანი ძლიერ მიყვარდა, რომლისგანაც შემეძინა ორი შვილი, მსგავსნი მზისა და მთვარისა. სადილს შემდეგ იმათთან ერთად ჩავიდოდი ბაღში გასავლელად. ერთი ტანისამოსი რომ გამეხადა, იმას მეორედ აღარ ჩავირვამდი, მწუხარება-ნაღველი არავითარი მქონია.

ერთ დღეს, როცა სადილი გავათავეთ, უცებ ცა მოიღრუბლა და ხანგრძლივი წვიმა დაიწყო, გული შემიწუხდა, დავიწყე ღვთის გმობა და ვსთქვი:

— ოჰ, ღმერთო! ასე დიდხანს წვიმა რა უბედურება არის მეთქი.

ამ დროს ჩემმა წამყვანმა ქალმა მითხრა:

— უმთავრესი მცნება უკვე დაარღვიე, შემდეგებსაც გაუფრთხილდიო.

— ვაი მე, ეს რა მომივიდა, რომ ღვთის საქმეში გავერიე; დანარჩენ ორ მცნებას მაინც ნულარ დავივიწყებ მეთქი. შემდეგ ამისა ერთ დღეს სადილად ვისხედით, სუფრაზედ ძლიერ ბევრი პური დააწყეს, მე გაკვირვებით ვიკითხე:

— ეს ამოდენა პური რა საჭიროა სუფრაზე რომ დაგიწყვიათ მეთქი?

— ერთი მცნება კიდევ დაარღვიე, გახსოვდეს ერთი მცნება ღა დაგრჩაო.

ეს უკანასკნელი მცნება მაინც დავიმახსოვრო და არ გავსტეხო მეთქი, მაგრამ ამაოდ.

ერთ დღეს ვნახე, ჩემს საყვარელს უსუსური ყმაწვილი ხელთ აეყვანა, ბაღში ვარდის ბუჩქებს ახლო დადიოდა, თითონაც ისეთი წმინდა კაბა ეცვა, რომ ხახვის ფურცელი იმაზე ბევრად სქელი გეჩვენებოდა: გავლა-გამოვლაში კაბის კალთები ვარდის ეკლებს ედებოდა და იგლიჯებოდა. ეს რომ ვნახე, ველარ მოვითმინე და უთხარი:

— ჩემო კარგო! ნუ თუ არ გენანება ეგ კაბა? ეს სიტყვა ესთქვი თუ არა ჩემმა წამყვანმა ქალმა მითხრა:

— ოჰ, შარბერ! შარბერ! მესამე მცნებაც გასტეხე, რადგან ჩვენ საქმეშიაც გაერიეო. ამ დროს უცებ ჩემი თავი ძველ ალაგას ვნახე, მივიხედე, ჩემთან აღარავინ იყო, მაშინ კი ბევრი ვინანე, ბევრი ვიეც თავში, მაგრამ რაღას უშველიდი.

ცხოვრება და დიდება დავკარგე; ამასა ვსტირი და კვლავ უნდა ვიტირო სიკვდილამდის, რადგან რა დამავიწყებს იმ სანატრელ დღეებს. ახლა ამ ვაებას მიემატა კიდევ ერთი სხვა უბედურება და დაბრკოლება: როცა თაბახს დავსდგამ და ხელში სარეცხს ავიღებ ხოლმე დასარეცხად, მშვენიერი ჩემი საყვარელი, ჩემი მზის მსგავსი შვილი ხელში აყვანილი გადმოდგება ხოლმე, ჩემ პირდაპირ კოშკზე და ვიძახი: „აგერ მოვიდა, აგერ მოვიდაო“.

ყმაწვილმა რომ მოისმინა შემდეგ ბრმა მოხუცთან წამოვიდა და იმანაც უამბო თავისი თავგადასავალი.

„მე 40 ჯორი მყავდაო. გზაში ერთი კაცი შემხვდა და მითხრა: ორმოცი საპანე მაქვს წასაღები და წაიღეო. მეც დავთანხმდი. მივედით ერთ გამოქვაბულში. ვნახოთ, ორმოცი საპანე ოქრო აჰკიდა ჯორებს. ხელში ერთი შუშა ეჭირა. ვფიქრობდი ეს რაღა იქნება-მეთქი. ვკითხე რა არის მეთქი; მან არ მითხრა. ჩხუბის მიზეზი მიმეცა მინდოდა ოქრო წამერთმია: მოკვლა დავუპირე. კაცმა მითხრა: ნუ მომკლავ. ამ შუშაში ერთნაირი სითხეა, თუ თვალებზე წაისვამ, ყველაფერს დაინახამ. სიხარბემ დამძლია. წავისვი თვალებზე და დავბრმავდი. ოქროც დავკარგე და ჩემი ჯორებიც. მას შემდეგ ვმათხოვრობ და რასაც ვშოულობ სილის გამრტყმელს ვაძლევო.

(შემდეგი იქნება)

ალ. იაკ. ახალციხელი.

ძველთაგანვე განთქმულია ბურიდანის ვირი,
თივა-ქერის არჩევანში გაჰხმობია ცხვირი,
ვერც იქ მისწვდა, ვერც აქ მოსწვდა, დარჩა ანაყვირი!

(ძველი არაკი.)

ბრძენო მარჯვნივ, ბრძენო მარცხნივ
ბრძენო ასკიკუკუკუ;
თქვენისთანა სოციალისტს
თვალში ასი კუკუ.

(აკაკისებური.)



კიტამ სთქვა: „ნეტამც შავი ქვა დიდი ხნით დაიხუროსა!
ჩვენ ჯამაგირი ავიღოთ, ნიადაგ დაგვაპუროსა,
ჩვენგან ნაბეჭდმა გაზეთმა ყველანი „შეახუროსა“,
—საქმე არ ჰქონდეს ხუროსა დაჯდეს და არახუნოსა!

მილოვი. მახლას!
„ვაი რა კარგი საჩინო,
რა ავად მიმიჩნიესო!
„დამადეს ფეხზე ბორკილი
ციხეში გამაჩინესო!

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

რედაქტორ გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**